



სალოვნური

ინტელექტის ისტორია

I ნომერი


6 ივნისი, 2023



ხელოვნური ინტელექტის ისტორია

მანამ, სანამ დღევანდელი მოცემულობის ხელოვნურ ინტელექტზე ვისაუბრებთ, გადავხედოთ მისი წარმოშობის ისტორიას.

ტერმინი „ხელოვნური ინტელექტი“ უკავშირდება ჯონ მაკკატსა და 1956 წელს, მაგრამ, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ხელოვნური ინტელექტი მეორე მსოფლიო ომის დროსაც, 1940 წელს, გამოიყენებოდა.



პირველი ხელოვნური ინტელექტის მოწყობილობა „THE BOMB MACHINE“ გამოიყენეს 1942 წელს, მეორე მსოფლიო ომში, მისი შექმნელად კი ალან ტურინგი ითვლება. იმ დროისათვის, ხელოვნური ინტელექტი გამოიყენებოდა გერმანული დაშიფრული სიგნალების მოსაპოვებლად და გასაშიფრად. ის ადამიანებზე სწრაფად არჩევდა მესიჯებს, შედეგად, მოკავშირეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ემოქმედათ დროულად. ალან ტურინგი გატაცებული იყო კომპიუტერული მეცნიერებით და სცადა კიდევ ჩაეტარებინა ტესტი ადამიანსა და ხელოვნურ ინტელექტზე. კვლევის მიზანი იყო გაეგოთ თუ როგორ შეეძლო იმ დროისათვის ხელოვნულ ინტელექტს გარდაქმნილიყო ადამიანად.




1961 წელს გამოჩნდა პირველი ინდუსტრიული რობოტი „UNIMATE“, რომელიც მძიმე წონის გადასატანად გამოიყენებოდა. იგი ჯენერალ მორტონისათვის ჯორჯ დევილმა შექმნა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ 1964 წელი გარდამტეხი პერიოდი აღმოჩნდა.



ვიზნაბაუმის ხელოვნური ინტელექტის ლაბორატორიაში განახორციელა პროექტი, სახელად „MIT“ რომელიც ჩათბოტ „ELIZA“ პროტოტიპი იყო. ELIZA იყო ფსიქოთერაპევტი რობოტი, რომელიც ისე ესაუბრებოდა კლიენტს თითქოს მისი პრობლემები ანაღვლებდა.

თუ ჩათბოტებზე საუბარს განვაგრძობთ და ამ თემას ჩავუღრმავდებით, აღმოვაჩინოთ, რომ 1995 წელს რიჩარდ უოლესმა შექმნა „ALICE“. მასში იყო ჩაშენებული ალგორითმი, რომელიც ბუნებრივად საუბრის საშუალებას აძლევდა. წლების განმავლობაში, „ALICE“ მოიპოვა უამრავი ჯილდო (მაგალითად LOEBNER პრიზი 2000, 2001 და 2004 წლებში). ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ ხელოვნური ინტელექტი ეტაპობრივად იხვეწებოდა და ამავდროულად, სინათლის სხივებსაც ენახებოდა.


ხელოვნური ინტელექტი გახდა ფილმის შექმნის ინსპირაცია, რომელიც მოგვითხრობს ადამიანის და კომპიუტერის ურთიერთობაზე.



როგორც უკვე აღინიშნა, ხელოვნური ინტელექტის განვითარება მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 2008 წელს მომხდარი მოვლენა, კერძოდ, კომპანია „APPLE“ ხმოვანი ასისტენტის, „SIRI“ წარდგენა. „SIRI“ აერთიანებს ჩატბოტსა და ხმოვან ასისტენტს.

იგი ამართლებს მოლოდინებს და გვეხმარება ისეთი საკითხების მოგვარებაში, როგორებიცაა: ვიზიტის დაჯავშნა, პროდუქტის ან მომსახურე პერსონალის გამოძახება, დღის დაგეგმვა და ა.შ. შესაძლოა დღეს აღარ გვიკვირს ხმოვანი ასისტენტები და ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია ხელოვნური ინტელექტის მიხედვით გახმოვანება, თუმცა 2008 წლისათვის ეს დიდ მოვლენად ითვლებოდა.




ხელოვნური ინტელექტის ისტორია

2011 წელს შეიქმნა Q/A კომპიუტერული სისტემა რომელსაც შეუძლია დაინახოს, გაიგონოს, წაიკითხოს და ილაპარაკოს. კომპიუტერულმა სისტემამ მონაწილეობა მიიღო სატელევიზიო შოუში, სადაც ის რეალურადამიანებს დაუპირისპირდა და მოიპოვა 1 მილიონი ა.შ.შ. დოლარი. როდესაც ვსაუბრობთ ხელოვნურ ინტელექტსა და ზოგადად თანამედროვე სამყაროს მიღწევებზე, საქირო ვახსენოთ რობოტი სოფია, რომელიც საუდის არაბეთის მოქალაქე გახდა. ის შეიქმნა „HANSEN ROBOTICS“ - ის მიერ და შეუძლია გამოხატოს ადამიანური უნარები როგორცაა; ემოცია, საუბარი, წერა, ასევე, შეუძლია ისაუბროს ნებისმიერ თემაზე.

2020 წელს შეიქმნა GPT-3, რომელსაც დღეს ყველა იცნობს. GPT-3მა მოახდინა გადატრიალება, მას 3 დღეში 1 მილიონი აქტიური მომხმარებელი ჰყავდა, რაც იმას ნიშნავს, რომ GPT-3 კიდევ უფრო მეტად განვითარდება. ალგორითმი ისეა მოწყობილი, რომ ის აკვირდება და სწავლობს სხვადასხვა ადამიანის ქცევას.

უჭაბუჩისათვის, GPT-3 დაფუძნებულია ნატურალური ენის სწავლაზე, რომელიც საშუალებას იძლევა ადამიანის მიერ დასმულ კითხვას გაეცნოს სწორი და ამომწურავი პასუხი.



როგორც უკვე გავიგეთ, GPT – 3მა მოახდინა გადატრიალება, ის გახლდათ ხიდი რიგით ადამიანსა და ტექნოლოგიურ სამყაროს შორის. ახლა ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერი სფეროდან შეუძლია მიიღოს ამომწურავი პასუხები კითხვებზე;

მაგალითისათვის, ფიტნეს ტრენერს შეუძლია კლიენტის მონაცემები ჩაწეროს GPT – 3ში და ისე შეუდგინოს მომხმარებელს ინდივიდუალური სავარჯიშო განრიგი, რა დროსაც გამოირციხება ადამიანის მიერ დაშვებული მექანიკური შეცდომები. ტრენერს შეუძლია ჩატ ბოტს უთხრას: „ შემიდგინე ჩემი კლიენტისათვის, რომელის სიმაღლეა 1,75 სმ, 2თვიანი სავარჯიშო გეგმა. აგრეთვე, ის მუშაობს ნაკლებად გადატრთულ სამსახურში და მისი კვების რაციონიც გამიწერე (დღეში 5 ულუფა), დარწმუნე, რომ ყველა საკვები ხელმისაწვდომია ქუთაისის მაღაზიებში.“ ეს ორივე მხარისათვის მომგებიანი, სწარფი სერვისის მიღებით კმაყოფილია კლიენტი, ტრენერი კი ზოგადად უამრავს დროსა და ენერჯიას.



ხელოვნური ინტელექტი ბრწყინვალედ ოპერირებს მარკეტინგისა და ზოგადად, ციფრული ინდუსტრიის სფეროებში. მაგალითად, თუ ჩატ ბოტს მიუთითებთ რომ შეგიქმნას ვებ კონტენტი (პროდუქციის აღწერა, ბლოგის პოსტი, ვებ-საიტის დიზაინი და პასუხი ხშირად დასმულ კითხვებზე). კონტენტის გენერირება კი ჭკვიანი მარკეტოლოგისათვის ინსპირაციის წყარო ხდება. (CHATGPT CAN GENERATE WEB CONTENT SUCH AS BLOG POSTS, PRODUCT DESCRIPTIONS, AND FAQs)

თუ კი ვსაუბრობთ ვილაცის სიმაღლესა და კვების რაციონზე, ან სულაც რომლიმე მარკეტოლოგის მიერ წინსწარ დაწერილ კონტენტზე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის ჩატ ბოტის დაცულობის გარანტია, დიახ, AI ინახავს ყველა დიალოგსა და მონაცემებს, რომლებსაც თქვენ მას მიანვდით. თუმცა, ხელოვნური ინტელექტი ამ ყველაფერს იყენებს მისივე სერვისის გასაუმჯობესებლად. იგი ინახავს მონაცემს იქამდე, სანამ თქვენი მომხმარებლის ანგარიში („ექაუნტი“) ღიაა. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ შეგიძლიათ გააუქმოთ „ექაუნტი“, რის შედეგადაც, წაიშლება მონაცემები. იმის მიუხედავად, რომ ხელოვნური ინტელექტი დიდი სიმპატიით სარგებლობს, არ არის იმის გარანტია, რომ მან უკვე მიაღწია მწვერვალს, პირიქით, ეს მხოლოდ დასაწყისა.

შედეგი ნომერი:

- ხელოვნური ინტელექტი როგორც პირადი ასისტენტი



**ქუთაისის
უნივერსიტეტი**

გაზეთის ავტორები:

დანი კობახიძე - იდეის ავტორი

(ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტი)

ბაია ჯოსაძე - რედაქტორი

(ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტი)

2023 წელი